

გარდაბნის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების 2023 - 2028 წლების სტრატეგია

რატომ არის მნიშვნელოვანი ადრეული და სკოლამდელი განათლება ბავშვის განვითარებისთვის: რა პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას სკოლამდელი განათლების სისტემა: რა ნაბიჯები უნდა გადაიდგას ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების უზრუნველყოფის მიზნით.

ხარისხიანი სკოლამდელი განათლება ბავშვის, როგორც აკადემიური, ისე სოციალური წარმატების საფუძველია.

გარდაბნის მუნიციპალიტეტი აცნობიერებს განათლების მნიშვნელობას თანამედროვე საზოგადოების განვითარებისათვის, აქტიურად უჭერს მხარს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ბავშვებზე ორიენტირებული განათლების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას.

გარდაბნის სკოლამდელი განათლების 2023-2028 წლების მუნიციპალური სტრატეგიის ძირითადი მიზანია უზრუნველყოს 2 დან 6 წლამდე ბავშვების სკოლამდელი აღზრდისა და განათლებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

სკოლამდელი განათლების განვითარების 2023 – 2028 წლების სტრატეგია არის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების ძირითად პრიორიტეტებს და გამოწვევებს, ადგენს სკოლამდელი განათლების სფეროს განვითარების მიზნებს, ამოცანებსა და მათი რეალიზაციის გზებს.

სკოლამდელი განათლების სფეროში მუნიციპალური პოლიტიკა - სტრატეგიის მიზნებიდან გამომდინარე, წარმოადგენს მიზანმიმართულ ღონისძიებათა ერთობლიობას, რომელიც კონცენტრირებული და კოორდინირებულია გარდაბნის მუნიციპალიტეტის მიერ და ეფუძნება განვითარების პრიორიტეტებს და ამ პრიორიტეტების შესაბამისად სკოლამდელი განათლების განვითარებაზე მიმართული რესურსების შედეგზე ორიენტირებულ განაწილებას.

თავი 1 სიტუაციური ანალიზი

1.1 2023-2028 წლების გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების სტრატეგია არის არსებული სტრატეგიის შემდგომი ეტაპის გრძელვადიანი დოკუმენტი, რომელიც დაფუძნებულია წინასწარ ჩატარებულ კვლევებზე და განსაზღვრავს გარდაბნის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი განათლების სფეროში განვითარების პოლიტიკის ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, ადგენს სკოლამდელი განათლების სფეროს მდგრადი განვითარების უზრუნველყოფისათვის საჭირო პირობებს.

1.2 სკოლამდელი განათლების მუნიციპალური სტრატეგიის რეალიზაცია ხორციელდება ა.(ა).ი.პ. „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების“ მიერ ამ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე.

1.3 ძირითადი პრინციპები - გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი განათლების სტრატეგია ეფუძნება შემდეგ ძირითად პრინციპებს:

- **სკოლამდელი აღზრდის საყოველთაობა** - ადრეულ ასაკში სწავლების და განვითარების მომსახურების მიწოდება გარდაბნის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა ბავშვისთვის, მათი ჩართვა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში.
- **მთავარია ბავშვი** - სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სტრატეგია ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. თითოეული ბავშვი უნიკალურია თავისი შესაძლებლობებით, ინტერესებით და საჭიროებებით. ბავშვებისადმი მიდგომა მუნიციპალურ საბავშვო ბაღში არის ჰოლისტიური.
- **თანასწორობისა და მრავალფეროვნების ხელშეწყობა** - თითოეული ჯგუფისა და ინდივიდის მიმართ პატივისცემის გამოხატვა და თანაბარი შესაძლებლობების შექმნა თითოეული ბავშვისთვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, მწრამსისა და სოციალური მდგომარეობისა.
- **უსაფრთხოება** - სოციალური და ფიზიკური გარემო, რომელშიც ბავშვი იმყოფება უნდა ქმნიდეს განვითარებისთვის საუკეთესო შესაძლებლობებს. ბავშვის გარშემო არსებული გარემო უნდა იყოს უსაფრთხო, კომფორტული, ორგანიზებული, მშვიდი და პოზიტიური. დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა, არაძალადობრივი გარემო, კეთილდღეობის შეგრძნება-თანაბრად მნიშვნელოვანია, როგორც პროგრამაში ჩართული თითოეული ბავშვისთვის, ისე დაწესებულების ყველა თანამშრომლისთვის. ყველა მუნიციპალურ ბაღში უნდა იყოს დაცული კვებისა და ჰიგიენის უმაღლესი სტანდარტები და გათვალისწინებული შესაბამისი რეკომენდაციები.
- **კრეატიული გარემო** - კრეატიული გუნდის შექმნა კრეატიული იდეების მოფიქრების წინაპირობაა. თამაში არის პირდაპირი პროცესი რომელიც კრეატიულობას პროვოცირებს

სტრატეგია 2023-2028 წწ.


უკეთებს. ეს არის პროცესი, როდესაც დაინახავთ ახალ იდეას. ცარიელ ოთახში კრეატიულობა არ იბადება. მნიშვნელოვანია, რომ გარემო სთავაზობდეს ბავშვს მრავალფეროვან რესურსს, მასალებს, რომლებზეც მას სრული ხელმისაწვდომობა ექნება. განმავითარებელი გარემო ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ბავშვს შეეძლოს ინიციატივის გამომჟღავნება და დამოუკიდებლად მოქმედება.

- **ბავშვის პატივისცემა** - პატივისცემა არის ჯანსაღი და მშვიდობიანი თანამშრომლობის საფუძველი საზოგადოების წევრებს შორის. პატივისცემა ფართო ცნებაა და ბავშვებს არ ესმით მისი მნიშვნელობა. ვასწავლოთ მათ ეს მნიშვნელოვანი ღირებულება საკუთარი მაგალითებით. ვასწავლოთ მოსმენა, სხვისი აზრის პატივისცემა, საკუთარი თავის და სხვისი პატივისცემა, ნუ შევუქმნით ძალადობრივ გარემოს. მუნიციპალიტეტის ყველა ბაღში გარემო ძალადობისგან თავისუფალია. დაცულია რეფერირების წესი და ყველა ბაღში გამოყოფილია ბავშვთა მიმართ ძალადობის თავიდან აცილებისა და ბავშვთა ძალადობისაგან დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.
- **მშობლებისა და ბაღის პერსონალის თანამშრომლობა** - მშობლებს უნიკალური როლი აქვთ ბავშვის განვითარებაში. მათი ჩართულობა ბაღის მუშაობასა და სკოლამდელი განათლების პროგრამის განხორციელებაში უნდა იყოს წახალისებული. მუნიციპალიტეტი მხარს უჭერს საკონსულტაციო საბჭოების არსებობას ბაღებში და ახორციელებს მათი საქმიანობის მხარდაჭერას.
- **აღმზრდელ-პედაგოგის მხარდაჭერა** - აღმზრდელ-პედაგოგი ცენტრალური ფიგურაა საბავშვო ბაღში ბავშვის განვითარებისთვის და მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი ხელშეწყობა და მხარდაჭერა ჯეროვნად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობა. აღმზრდელ-პედაგოგებს აქვთ ამოცანა, მხარი დაუჭირონ აღსაზრდელების ქცევით, კოგნიტურ, სოციალურ და ფიზიკურ განვითარებას. ბავშვები სწავლობენ თამაშით, პრობლემების გადაწყვეტითა და ექსპერიმენტებით.
- **სიჯანსაღე და ფიზიკური აქტივობა** - ხელს უწყობს ბავშვის სოციალური, კოგნიტური და ფიზიკური უნარების განვითარებას, მათ დამოუკიდებლობას. მუნიციპალიტეტი ყველა საჯარო ბაღში ხელს უწყობს შესაბამისი ცენტრებისა და გარემოს მოწყობას.
- **თანამშრომლობითი გარემო** - სტრატეგია მხარს უჭერს მუნიციპალურ ბაღებში პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბებას თანამშრომლებს შორის, ზრუნავს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებასა და ღირსეული სამუშაო პირობების შექმნაზე.


სტრატეგია 2023-2028 წწ.

თავი 2 სტრატეგიული მიმართულებები და კონკრეტული პროექტები


გარდაბნის მუნიციპალიტეტი შედგება 19 ადმინისტრაციული ერთეულისაგან. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს 40 დასახლებული პუნქტი, მათ შორის ერთი ქალაქი და 39 სოფელი. 2022 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით მოსახლეობა შეადგენს 99945 ადამიანს, რომელთაგან ქართველები 54.2%. აზერბაიჯანლები 43.5%. სომხები 0.7%. რუსები 0.5%. ასირიელები 0.3%. სკოლამდელი ასაკის (6 წლის ჩათვლით) 3500 ბავშვია, ამათგან 1998 ქართველი, ხოლო 1502 ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი.



თავი 3 საფინანსო ხარჯთაღრიცხვა



თავი 4 რისკების შეფასება (SWOT) ანალიზი.



თავი 5 ხედვა, ამოცანები და სტრატეგიული მიმართულებები

საყოველთაოდ არის აღიარებული, რომ სკოლამდელი განათლება წარმოადგენს საგანმანათლებლო სისტემის საფუძველს.

2023 წლისთვის გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2 დან 6 წლის ბავშვების 90% ჩართულია სკოლამდელი განათლების მომსახურებაში. ბაგა-ბაღების პერსონალი ხელს უწყობს ბავშვის შემეცნებითი უნარების, მსხვილი და ნატიფი მოტორიკის, მეტყველების უნარების და სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარებას. ბავშვის განვითარების სტიმულირებას აღმზრდელები ახერხებენ მხოლოდ მათი განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინებითა და პატივისცემით. ხელს უწყობენ განვითარების სხვადასხვა ტემპისა და განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების სასკოლო მზაობის ჩამოყალიბებას.

ბავშვები გრძნობენ სიყვარულს, პატივისცემას, ხვდებიან, რომ აინტერესებთ მათი გრძნობები და მოქმედებები და ეს უქმნით მათ უსაფრთხოების განცდას.

მნიშვნელოვანია მშობლის ჩართულობა საბავშვო ბაღის მუშაობაში, აქედან გამომდინარე არსებობს მშობელთა საკონსულტაციო საბჭოები, რომლებიც აღმზრდელებთან ერთად ცდილობენ იყოს სრული ჩართულობა მშობელთა მხრიდან. ხდება წახალისებები სხვადასხვა ფორმით (მაგალითად: სიგელებით, ბავშვების მიერ დამზადებული სხვადასხვა საჩუქრებით და სხვა).

იმისათვის, რომ ბაგა-ბაღებში გვყავდეს კვალიფიციური კადრები ხდება მათი უწყვეტი გადამზადება, არიან თვითრეფლექსურები, ბავშვებს ეთამაშებიან და თამაშით ასწავლიან: აზრებისა და ემოციების გაზიარებას, თანამშრომლობას და თანაგრძნობას, ხელს უწყობენ ბავშვების ინიციატივას და შემეცნებით ინტერესებს, იყენებენ ქცევის მართვის სტრატეგიებს, პერიოდულად აფასებენ ბავშვების პროგრესს განვითარებაში.

თავი 6 სტრატეგიული მიმართულებები და კონკრეტული ღონისძიებები

6.1 კეთილდღეობა ფიზიკური გარემო და ინფრასტრუქტურა:

მიზანი	ამოცანები	ინდიკატორები	ღონისძიებები
დაწესებულება უზრუნველყოფს მის დაქვემდებარებაში არსებული ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების უზრუნველყოფას, როგორც თანამშრომლებისთვის ასევე აღსაზრდელებისთვის.	<ul style="list-style-type: none"> ➢ გაერთიანება ზრუნავს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაზე. ➢ თანამშრომლების და აღსაზრდელების ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. ➢ ასევე ემოციურ უსაფრთხოებაზე 	<ul style="list-style-type: none"> ➢ მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. ➢ ყოველწლიურად ხორციელდება ბიუჯეტის მატება. ➢ მიმდინარეობს ღია სივრცეების მოწყობა. ➢ ბაგა-ბაღებში გამოიყო სამასწავლებლო ოთახები. ➢ გამოყოფილია საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები. 	<ul style="list-style-type: none"> ➢ მუნიციპალიტეტს წარედგინა პროექტი სარეაბილიტაციო ბაგა-ბაღების. ➢ ორ საბავშვო ბაღში მოსაწესრიგებელია ეზოები. ➢ გაერთიანება ცდილობს ბაგა-ბაღებში შექმნას შეცდომებისადმი ტოლერანტული გარემო.

6.2 საგანმანათლებლო პროცესი და რესურსი

მიზანი	ამოცანები	ინდიკატორები	ღონისძიებები
დაწესებულება უზრუნველყოფს ბაგა-ბაღების საგანმანათლებლო რესურსით მომარაგებას. უზრუნველყოფს აღმზრდელობითი პროცესის პერსონალის უწყვეტ გადამზადებას კვალიფიკაციის ასამარლებლად.	<ul style="list-style-type: none"> ➢ რესურსით უზრუნველყოფა. ➢ კვალიფიციური კადრი ➢ შედეგებზე ორიენტირებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესები. 	<ul style="list-style-type: none"> ➢ ყოველწლიურად მიმდინარეობს ბიუჯეტის ზრდა რესურსის, სათამაშოების და ლიტერატურის შესაძენად ➢ ვახორციელებთ კადრების გადამზადებას ➢ ხელს ვუწყობთ ახალი სტანდარტების დანერგვას 	<ul style="list-style-type: none"> ➢ მუნიციპალიტეტს წარედგინა სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში შესატანი ცვლილებების პროექტი. ➢ ხორციელდება სხვადასხვა სახის ღონისძიებები პერსონალის წასახალისებლად.

6.3 ოჯახისა და თემის მონაწილეობა

მიზანი	ამოცანები	ინდიკატორები	ღონისძიებები
დაწესებულება თანამშრომლობს ოჯახთან და თემთან	<ul style="list-style-type: none"> ➤ მეტი ჩართულობა ბავშვის განათლებასა და განვითარებაზე პასუხისმგებელი სისტემებიდან. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ მიმდინარეობს სხვადასხვა ფორმით თანამშრომლობა როგორც ოჯახთან ასევე თემთან. ➤ გაწერილია თემები, რომლის განხორციელებაშიც ხდება მათი ჩართულობა. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ აღმზრდელები პროფესიების მიხედვით წერენ თემებს და იწვევენ მშობლებს. ➤ საკონსულტაციო საბჭოები იკვლევენ ბაღის საჭიროებებს და ცდილობენ თემის ჩართვას.

6.4 ინკლუზიური განათლება

მიზანი	ამოცანები	ინდიკატორები	ღონისძიებები
ხელი შევუწყოთ განვითარების სხვადასხვა ტემპისა და განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების განვითარებას	<ul style="list-style-type: none"> ➤ შევქმნათ სრულყოფილი პირობები ინკლუზიური განათლების მისაღებად. 	<ul style="list-style-type: none"> ➤ ჩატარდეს კადრების გადამზადება ინკლუზიური განათლების მიმართულებით ➤ მოხდეს საჭიროების სწორი და დროული დაფიქსირება 	<ul style="list-style-type: none"> ➤ შემუშავდეს საჭირო ინდივიდუალური გეგმები ➤ მოხდეს მათი სრულყოფილი ჩართულობა სხვადასხვა პროცესებში

თავი 7 დაწესებულების მისია და ხედვა

7.1 მისია

ვერცერთი დაწესებულება ვერ იქნება თავის საქმიანობაში წარმატებული, თუ ის როგორც ორგანიზაცია არ იქნება მდგრადი. სწორედ აღნიშნულის გააზრებას, ხელშეწყობას და განვითარებას ემსახურება გარდაბნის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულების სტრატეგიულ გეგმაში მისიის და ხედვის ჩამოყალიბება.

ჩვენი მისიაა საბავშვო ბაღებში შევქმნათ აღსაზრდელებისა და პერსონალისთვის უსაფრთხო, მიმზიდველი და ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებული გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ფიზიკური და სენსორული, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური უნარების ენისა და მეტყველების, შემეცნებითი, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

7.2 ხედვა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანება მუშაობს ხუთ ძირითად პრინციპზე დაფუძნებით:

1. პროფესიონალიზმი
2. ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობა
3. ბავშვის ასაკობრივი განვითარებისკენ სწრაფვა
4. პოზიტიური გარემოს შექმნა
5. გუნდური მუშაობა

ხუთწლიანი სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს ბაგა-ბაღების სისტემის გამართულობას, ინფრასტრუქტურის მორგებას ყველა საჭიროებაზე, პერსონალის ხშირ გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, ჯგუფებში აღსაზრდელთა მცირე რაოდენობას ახალი საბავშვო ბაღების აშენების ხარჯზე, ბაღებში ასაკობრივი ჯგუფების შესაბამისი ლიტერატურის, საკანცელარიო მასალის და სათამაშოების მიწოდების რაოდენობის მატებას ბიუჯეტის ყოველწლიური ზრდიდან გამომდინარე.